

HITTITE MILITARY OATH RITUALS ხეთური სამხედრო ფიცის რიტუალები

CHAREKISHVILI NINO

Professor, Georgian Institute of Public Affairs (GIPA)

Gorgasali street #101, Tbilisi, Georgia

ORCID: 0000-0002-9568-2926

n.charekishvili@gipa.ge

Abstract: This article provides a Georgian translation of the Hittite military oath texts, which are listed in the Laroche catalog as number CTH 427, CTH 493. CTH 493 is similar to "First Military Oath" (CTH 427) and should be classified as Oath. However, since neither the king's nor the army's oath is mentioned, as it was in the first oath, it is therefore entered in the list of rituals in Laroche's catalog as number CTH 493. Perhaps it should be taken into account that the text is damaged and this would probably have been referred to in the complete text. Based on the content of the text of CTH 493 and the similarity of the curse texts with CTH 427, I think it should still be classified as an oath.

Both texts are very interesting and similar in their content. In the text CTH 427, it is stated several times, what awaits the violator of the oath, as well as the one who does harm to the king of Hatti, the king's family or the country. Specific texts are given for a kind of curse: to become blinded; to become deaf, to execute with sickness and bad death; To melt like wax and liquefied like sheep's fat; to become charred like sinew and split like salt; to become ground like a bone, to be boiled, to be pounded; to be trod on foot; to become swollen inwardly; Become infertile; A person who violates an oath should be killed along with his name and family, as well as oxen and sheep; The plow should be broken, and barley and wheat should not grow on its crops, weeds should be rejoiced; May his youth and life prosper and be cursed by the gods. It is also worth noting one point that the oath-breaker must be shed disgraced, and for this he must be stripped of his masculine attributes and become a woman. They bring out a distaff and a spindle, and they break the arrows, and dress the man in a woman's clothes: " Let this oath turn a man into a woman! his army - into women! Let them dress in the manner of women and put a headscarf on their heads! Let their bows, arrows and weapons be smashed into their hands and the distaff and spindle be caught into their hands!"¹

In CTH 493, there are similar types of curses for breaking an oath, specific ritual actions are followed by corresponding curse texts: i.e. water is poured on the ground, i.e. the oath-breaker must disappear without a trace like water, then wine is poured, i.e. it is the blood of the oath-breaker, which must be absorbed by the earth; Then both liquids are mixed together, i.e. this is how his body should be mixed with the disease; They take a stone, that means, the disease should make it heavy like this stone; The wrath of the gods must befall him; Crush their skulls. However, it is also said that if they keep the oath, it will be for their own good.

Keywords: Assyriology, Hittites, Ritual, Oath, Military oath

¹ CTH 427. Vs.II. 45-53, Rs.III.1; Oettinger, 1976:11-12

ნინო ჩარეკიშვილი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) პროფესორი,
დოქტორი, მის.: გორგასალის ქუჩა #101, თბილისი, საქართველო

ORCID: 0000-0002-9568-2926

n.charekishvili@gipa.ge

აბსტრაქტი: ამ სტატიაში მოცემულია ხეთური სამხედრო ფიცის ტექსტების ქართული თარგმანი, რომელიც ლაროშის კატალოგში მოცემულია CTH 427, CTH 493 ნომრად. CTH 493 მსგავსია „პირველ სამხედრო ფიცისა“ (CTH 427) და უნდა მიეკუთვნებოდეს ფიცის კატეგორიას. თუმცა, ვინაიდან არც მეფე და არც ჯარის ფიცი არ არის მოხსენიებული, როგორც ეს იყო პირველ ფიცში, ამიტომ შეყვანილია ლაროშის კატალოგში რიტუალების ჩამონათვალში CTH 493 ნომრად. ალბათ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტექსტი დაზიანებულია და სავარაუდოდ სრულყოფილ ტექსტში იქნებოდა მოხსენიებული. CTH 493 ტექსტის შინაარსიდან და CTH 427-თან წყველის ტექსტების მსგავსებიდან გამომდინარე ვფიქრობ, მაინც უნდა მივაკუთვნოთ ფიცის კატეგორიას.

ორივე ტექსტი თავისი შინაარსით ძალიან საინტერესოა და მსგავსია. CTH 427 ტექსტში არაერთგზისაა მოცემული რა ელოდება ფიცის დამრღვევს და ასევე მას ვინც ხათის მეფეს, მეფის ოჯახს ან ქვეყანას ცუდს გაუკეთებს. მოცემულია კონკრეტული ტექსტები ერთგვარი წყველისა: დაბრმავდეს; დაყრუვდეს; ავადმყოფობით და ცუდი სიკვდილით აღესრულოს; ცვილივით გადნეს და ცხვრის ქონივით გათხევადდეს; მყესივით დანახშირდეს და მარილივით დანაწევრდეს; ძვალივით დაიფქვას, მოიხარშოს, დაინაყოს; ფეხით გაითელოს; შინაგანად გასივდეს; ვერ გამრავლდეს; ფიცის დამრღვევი ადამიანი მისი სახელიან-ოჯახიანად, ხარებიან-ცხვრებიანად უნდა მოისპოს; გუთანი დაემსხვრეს და მის ნათესებზე ქერი და ხორბალი არ ამოვიდეს, სარეველამ იხაროს; მისი სიყმაწვილე და სიცოცხლე კეთილდღეობა ჩაქრეს და ღვთაებებისგან დაწყევლილი იყოს. ასევე საყურადღებოა ერთი მომენტიც, რომ ფიცის დამრღვევი ღირსება აყრილიც უნდა იყოს, და ამისათვის მამაკაცური ატრიბუტიკა უნდა ჩამოერთვას და ქალად იქცეს. გამოაქვთ ჯარა და თითისტარი, ისრებს კი ამტვრევენ, კაცს ქალის სამოსით მოსავენ: „ამ ღვთაებათა ფიცმა კაცი ქალად აქციოს! მისი ჯარი ქალებად აქციოს! ქალივით შეიმოსონ და თავს ლეჩაქი დაიხურონ! მშვილდები, ისრები და იარაღები მათ ხელებში დაიმსხვრეს! ჯარა და თითისტარი კი მათ ხელებში დაიჭირონ!“²

CTH 493-შიც ფიცის დარღვევისთვის, მსგავსი ტიპის წყველებია, კონკრეტულ სარიტუალო ქმედებებს შესაბამისი წყველის ტექსტები მოყვება: მაგ.: წყალს ასხამენ მიწაზე, ანუ ფიცის გამტეხი წყალივით ასე უკვალოდ უნდა გაქრეს, შემდეგ ღვინოს ასხამენ, ანუ ეს ფიცის დამრღვევის სისხლია, რომელიც მიწამ უნდა შთანთქოს; შემდეგ ორივე სითხეს ერთმანეთში ურევენ, ანუ ასე უნდა აირიოს მისი სხეული დაავადებით; ქვას იღებენ, ანუ სწეულეზამ ამ ქვასავით უნდა დაამძიმოს; თავს უნდა დაატყდეს ღვთაებების რისხვა; მათი თავის ქალები დაამსხვრიონ. თუმცა ისიც ნათქვამია, რომ თუკი ფიცს დაიცავენ ეს მათ საკეთილდრეოდ იქნება.

საძიებო სიტყვები: ასირიოლოგია; ხეთები; რიტუალი; ფიცი; სამხედრო ფიცი;

² CTH 427. Vs.II. 45-53, Rs.III.1; Oettinger, 1976:11-12

შესავალი: სამხედრო ფიცის ტექსტი ლაროშის კატალოგში არის 427 ნომრად მოცემული (E. Laroche, CTH 427). პირველი სამხედრო ფიცის მეორე ფირფიტა 1924 წელს ჰროზნიმ გამოსცა, როგორც KBo VI 34, შემდეგ ფრიდრიხმა (ZA 35, 1924:161-191). ასევე გოტცემ თარგმნა (ANET, 1950:353). მაშინ მხოლოდ KUB VII 59 ასლი იყო ხელმისაწვდომი ორივე რედაქტორისთვის.

სამხედრო ფიცის მეორე, დამოუკიდებელი ტექსტი იყო VAT 7424, რომელიც გამოაქვეყნა ავტოგრაფიით 1973 წელს კასპარ რიმშნაიდერმა, როგორც KUB XLIII 38. ამ ფირფიტის წინა ნაწილის ნაწილობრივი ტრანსკრიფცია მოცემულია ოტენის მიერ (Otten, 1971:30). შემდეგ ეს ტექსტი წარმოადგინა ოტინგერმა, როგორც თავი „III. 3. მეორე სამხედრო ფიცი (KUB XLIII 38)“ ტრანსკრიფციითა და თარგმანით (Oettinger, 1976:18-21). ასევე თარგმნა კოლინზმა ინგლისურად (Collins, 2003). ეს ტექსტი მსგავსია „პირველ სამხედრო ფიცისა“ (CTH 427) და უნდა მიეკუთვნებოდეს ფიცის კატეგორიას. თუმცა, ვინაიდან არც მეფე და არც ჯარის ფიცი არ არის ცალსახად ნახსენები, როგორც ეს იყო პირველ ფიცში, ამიტომ შეეყვანილია ლაროშის კატალოგში რიტუალების ჩამონათვალში CTH 493 ნომრად. მიუხედავად ამისა, ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე ვფიქრობ, მაინც უნდა მივაკუთვნოთ ფიცის კატეგორიას.

არსებობს კიდევ ერთი, შედარებით ახალი ტექსტი (CTH 428) მსგავსი შინაარსით, რომელსაც უწოდებენ „მეორე სამხედრო ფიცს“. ის უფრო ფრაგმენტულია და მისი მთავარი განსხვავება ისაა, რომ ფიცის დამდებს სიტყვის შესრულების შემთხვევაში კეთილდღეობას ჰპირდება ძველი ფიცისგან განსხვავებით. ეს ტექსტი აჩვენებს, რომ ხეთების პანთეონი სულ უფრო მეტად განიცდიდა ხურიტული თვთაებების გავლენას. ჩვენ ქვემოთ წარმოვადგენთ CTH 427 და CTH 493 ტექსტების თარგმანს.

სამხედრო ფიცის რიტუალების თარგმანი CTH 427

პირველი სამხედრო ფიცი

KBo 53.33 {Frg. 1} + KBo 6.34 {Frg. 2} + KUB 48.76 {Frg. 3} + CHDS 3.51 {Frg. 4}

წინ.მხ. I

§1

1. [...³ კედარს⁴ მათ ხელებში] უდებს
2. [...] ისინი [...], და მახეს⁵
3. [...], და მათ ეუბნება:
4. „ეს [...] სრულებით არა(ა)
5. [...] მისი სახლი, ღვთაებები კი მას
6. [...] როგორც კედარი
7. [...] სურნელი(ა)
8. [...]
- 9'. [...]
10. [...]

§2

11-14'. [...] (დაზიანებულია)

³ [...] მიუთითებს რომ ამ ადგილას ტექსტი დაზიანებულია

⁴ შეიძლება იყოს კედარის ხის ნაჭერი

⁵ *ekt-/ikt-/ekza-* (c.) - ლუვ.: ბადე, მახე, ხაფანგი

15'. [... ფიცის ღვთაებები ...]

16'. [...]".

§3

17'. [...]. და ის ამბობს: „შეხედე!

18'. როდესაც ცოცხალი იყო, ზემოთ ცას

19'. შეჰყურებდა. ახლა შეხედე! [...]

20'. ღვთაებათა ფიცის⁶ ადგილას⁷ დააბრმავეს [...]

21'. დაე, ისინი, ვინც ღვთაებათა ფიცს დაარღვევს

22'. და ხათის ქვეყნის მეფეს მახეს დაუგებს⁸

23'. და ასევე ხათის ქვეყანას მტრულ მზერას

24'. მიაპყრობს,⁹ ამ ღვთაებათა ფიცმა შეიპყრონ!

25'. მისი ჯარიც დაბრმავდეს!¹⁰

26'. შემდეგ დაყრუვდნენ! ერთი

27'. მეორეს ვერ დაინახავს, ერთი მეორეს ვერ

28'. მოუსმენს. და ისინი მათ ცუდ განსაცდელს

29'. მოუტანენ! მათ ქვემოთ, მათ ფეხებს ხუნდ(ებ)ი

30'. დაადონ! მათ ზემოთ, მათი ხელები შეკრან!

31'. როგორც არცავას ქვეყნის ჯარები

32'. ფიცის ღვთაებებმა ხელ-ფეხით¹¹ შეკრეს

33'. და მათი გორა დადგეს¹², დაე, ის ჯარიც

34'. ასევე შეკრან და მათი გორა დადგან!

§4

35'. (შემდეგ) საფუარს მათ ხელებში უდებს. ისინი ლოკავენ¹³,

36'. და ასე (ამბობს): „ეს რა, არაა საფუარი?

37'. და როგორც ამ საფუარის მცირედს იღებენ

38'. და ისინი გობში აურევენ და გობს

39'. ერთი დღის განმავლობაში დადგამენ¹⁴ და ის ამოფუვდება,

40'. დაე, ისინი, ვინც ღვთაებათა ფიცს დაარღვევს

41'. და ის ხათის ქვეყნის მეფეს მახეს დაუგებს

42'. და ასევე ხათის ქვეყანას მტრულ თვალებს

43'. დაადგამს, ამ ღვთაებათა ფიცმა შეიპყრონ!

44'. ავადმყოფობის მიზეზით გატყდეს!

45'. და ცუდი სიკვდილით აღესრულოს!¹⁵“ ისინი კი

46'. ამბობენ: „დაე, ასე იყოს!“

⁶ *NI-ISĜ DINGIR*^{LIM/MEŠ}, *NI-ISĜ ili(m)*, - (Gottes-)Eid, ღვთაებათა ფიცი

⁷ ფიცის დადების ადგილას

⁸ მახეს/ხაფანგს დაუგებს = მზაკვრობა

⁹ = მტრულად შეხედავს

¹⁰ აქ ზმნა Imp. 3 პ. მრ.რ-შია

¹¹ სიტყვ.: მისი ხელებით (და) მისი ფეხებით

¹² სიტყვ.: გროვად დაწყობა, შეაგროვებს, დააჯგუფებს, გააერთიანებს,

¹³ სიტყვ.: ენით ეხებიან, ენას უსმევენ

¹⁴ = აჩერებენ

¹⁵ სიტყვ.: დასრულდეს

§5

47'. (შემდეგ) ის ცვილს (და) ცხვრის ქონს მათ (=ჯარისკაცებს) ხელეზში უდებს

48'. და ის მათ ცეცხლში აგდებს

49'. და ამბობს: „როგორც ეს ცვილი

50'. დნება და ცხვრის ქონი თხევადდება,

51'. დაე, ის, ვინც ღვთაებათა ფიცს დაარღვევს!

წინ.მხ. II

§6

1. და ხათის ქვეყნის მეფეს მახეს დაუგებს.

2. ცვილივით გადნეს!

3. ცხვრის ქონივით გათხევადდეს!“

4. ისინი კი ამბობენ: „დაე, ასე იყოს!“

§7

5. (შემდეგ) ის მათ მყესს (და) მარილს ხელეზში

6. უდებს. ის (მათ) ცეცხლში აგდებს

7. და ასე ამბობს: „როგორც ეს მყესი

8. ღუმელში ნახშირდება,

9. როგორც მარილი ღუმელში

10. ნაწვევდება, დაე, ისინი, ვინც ღვთაებათა ფიცს

11. დაარღვევს! და ხათის ქვეყნის მეფეს

12. მახეს დაუგებს და ასევე ხათის ქვეყანას მტრულ

13. თვალებს დაადგამს, ამ ღვთაებათა ფიცმა

14. შეიპყრონ! დაე, მყესივით

15. დანახშირდეს! მარილივით კი

16. დანაწვევდეს! და როგორც მარილიდან მისი თესლი არ არსებობს¹⁶,

17. ის ადამიანი, მისი სახელი, მისი თესლები,

18. მისი სახლი, მისი ხარები, მისი ცხვრები, ამგვარად მოისპოს!

§8

19. (შემდეგ) მათ ალაოს და ლუდის ტკბილს ხელეზში უდებს

20. და ისინი ლოკავენ. მათ ასე ეუბნება:

21. „როგორც ამ ლუდის ტკბილს დოლაზში ფქვავენ,

22. წყალში ურევენ, ხარშავენ,

23. და ნაყავენ.¹⁷ დაე, ისინი, ვინც ღვთაებათა ფიცს

24. დაარღვევს! მეფეს, დედოფალს,

25. უფლისწულებს, ხათის ქვეყანას ცუდს მოუწყობს,

26. ამ ღვთაებათა ფიცმა შეიპყრონ! დაე, მისი ძვალი

27. ამგვარად დაიფქვას! დაე, ამგვარად მოიხარშოს!

28. დაე, ამგვარად დაინაყოს და ცუდი სიკვდილით

29. აღესრულოს!“ ისინი კი ამბობენ:

30. „დაე, ასე იყოს!“

§9

¹⁶ = მარილიდან თესლი არ აღმოცენდება

¹⁷ ან ჭყლეტენ, ან სრესენ, ლუდის დამზადების რაღაც პროცედურა უნდა იყოს

31. როგორც ამ ალაოს გამრავლება შეუძლებელია¹⁸
 32. მინდორში ვერ მოიყვანენ და თესლს
 33. (ვერ) გააკეთებენ, და პურსაც ვერ გამოაცხოებენ¹⁹
 34. საწყობში²⁰ (ვერ) მოათავსებენ. დაე, ის, ვინც
 35. ამ ღვთაებათა ფიცს დაარღვევს! მეფეს,
 36. დედოფალს, უფლისწულებს, ცუდს მოუწყობს
 37. ამ ღვთაებათა ფიცმა მისი მომავალი²¹
 38. ამგვარად გაანადგუროს! მისმა ცოლებმა ვაჟიშვილები
 39. (და) ქალიშვილები ვერ შვას! ხოლო მინდვრებში, სახნავ-სათეს მიწებზე
 40. (და) მდელოებზე ბალახი არ
 41. გაიზარდოს! მისმა საქონელმა (და) მისმა ცხვრებმა, ხბო (და) ბატკანი არ შვას!“
- §10
42. (შემდეგ) ქალის ტანსაცმელი, ჯარა და თითისტარი
 43. მოაქვთ, ისარს ამტვრევენ.
 44. და მათ ასე ეუბნები: „ეს რაა? არაა
 45. ქალის ძვირფასი სამოსი? ჩვენ მათ ფიცი დავუდეთ.
 46. დაე, ის, ვინც ღვთაებათა ფიცს დაარღვევს!
 47. და მეფეს, დედოფალს, უფლისწულებს, ცუდს
 48. მოუწყობს, ამ ღვთაებათა ფიცმა კაცი ქალად
 49. აქციოს! მისი ჯარი ქალებად აქციოს!
 50. ქალივით შეიმოსონ და თავს ლეჩაქი
 51. დაიხურონ! მშვილდები, ისრები და იარაღები
 52. მათ ხელებში დაიმსხვრეს!
 53. ჯარა და თითისტარი კი

უკ.მხ. III

1. მათ ხელებში დაიჭირონ!“
- §11
2. (შემდეგ) ბრმა და ყრუ ქალი
 3. მათ წინ გამოჰყავთ.
 4. მათ ასე ეუბნები: „შეხედეთ (ეს) ქალი ბრმა
 5. და ყრუა. დაე, ისინი, ვინც მეფეს, დედოფალს,
 6. ცუდს მოუწყობს, ღვთაებათა ფიცმა შეიპყრონ!
 7. კაცი ქალად იქცეს! ბრმის მსგავსად
 8. დაბრმავდნენ! ხოლო ყრუს
 9. მსგავსად დაყრუვდნენ! ადამიანიშვილი
 10. მის ცოლებთან, მის შვილებთან, შთამომავლობასთან ერთად
 11. მთლიანად მოისპოს!“
- §12
12. (შემდეგ) მათ ქანდაკებას²² [...] მის შიგნით წყლით გავსებულს

¹⁸ = სიტყვ.: არ არსებობს

¹⁹ სიტყვ.: გააკეთებენ

²⁰ É^{NA4}KIŠIB – „ბეჭდის სახლი“ (= საწყობი, საგანძური)

²¹ EGIR UD^{MI} – სიტყვ.: მომავალი დღე(ები), მომავალი

²² შესაძლოა იყო დაავადებული ქალის ან კაცის გამოსახულება

13. მათ ხელებში უდებს და ასე ამბობს:
14. „აქ ვინაა? არ დაუფიცებია?
15. ღვთაებების წინაშე ფიცი დადო,
16. შემდეგ ფიცი დაარღვია და ფიცის ღვთაებებმა
17. შეიპყრეს, და მისი შიგანი²³ გასივდა,
18. (გადიდებულმა) მუცელმა მისი ხელი წინ ზემოთ
19. ასწია. დაე, ისინი, ვინც ღვთაებათა ფიცს
20. დაარღვევს, ამ ღვთაებათა ფიცმა
21. შეიპყრონ! დაე, მისი შიგანი გასივდეს!
22. მასში [...] მის შიგნით (მისი) შვილი,²⁴ ღვთაება იშხარამ
23. [...] შეიპყრონ (?) და შთანთქონ!“
- §13
24. [...] იჭერს, თვალწინ
25. პირქვე ყრის და მას ფეხით თელავენ,
26. მათ ასე ეუბნება: „ვინც ამ
27. ღვთაებათა ფიცს დაარღვევს, დაე, მოვიდნენ
28. ხათის ქვეყნის ღვთაებები (და) მისი ქალაქი ამგვარად ფეხით გათელონ!
29. [...] ქალაქის მოსახლეობასაც (იგივე) დამართონ!“²⁵
- §14
30. (შარდის) ბუმტს²⁶ ბერავენ და ფეხით
31. თელავენ და ჰაერი
32. გამოდის. ის ამბობს: „აი! როგორც
33. (ეს) დაიცალა, დაე, ის, ვინც ღვთაებათა ფიცს
34. დაარღვევს! მისი ოჯახი ადამიანიშვილისგან,
35. მისი საქონელისა (და) მისი ცხვრებისგან ამგვარად დაცარიელდეს!
- §15
36. მათ წინ ქვემოთ ღუმელს დგამ,
37. გუთანს, საზიდარს, ეტლის ასლებს წინ ქვემოთ
38. დგამ, და ისინი ამტვრევენ.
39. ასე ამბობს: „ვინც ამ
40. ფიცს დაარღვევს, ღვთაება იშქურმა²⁷
41. გუთანი დაუმტვრიოს
42. და როგორც ღუმელიდან ბალახი
43. არ ამოვა, ისე
44. მისი მინდვრიდან ქერი და ხორბალი არ
45. ამოვიდეს და მასზე სარეველა გავრცელდეს!“²⁸
- §16
46. შენ მათ წითელ ბეწვს აძლევ, ის ამბობს

²³ = შიგნეულობა

²⁴ = შთამომავლობა, თესლი

²⁵ სიტყვ.: გაუკეთონ

²⁶ *walula-c.* (ein tierischer Körperteil, der aufgeblasen werden kann, 'Blase, Lunge, Darm' o.ä.)

²⁷ ამინდის ღვთაება

²⁸ სიტყვ.: გაკეთდეს

47. როგორც ამ წითელ ბეწვს ასისხლიანებენ

48. და (შემდეგ) სისხლისფერი აღარ

უკ.მხ. IV

1. გავა. დაე, თქვენც ფიცის ღვთაებებმა

2. შიგნით ამგვარად შეგიპყრონ! და ის თქვენგან

3. არ გავა.“

§17

4. ის ცეცხლს წყალს ასხამს

5. და მათ ასე ეუბნება: „ეს

6. მხურვალე ცეცხლი როგორც ჩაქრა,

7. დაე, ისინი, ვინც ღვთაებათა ფიცს დაარღვევს,

8. ამ ღვთაებათა ფიცმა შეიპყრონ!

9. დაე, მისი სიცოცხლე, სიყმაწვილე,

10. კეთილდღეობა მომავალში, მის ცოლებთან (და)

11. მის შვილებთან ერთად, ამგვარად ჩაქრეს და ის ფიცის

12. ღვთაებებმა ცუდად დაწყევლონ!

13. მისი ველები,

14. მისი ბაკისთვის, ბოსლისთვის,

15. თავლისთვის არ აყვავდება,

16. ხოლო მისი მინდვრის ხნულიდან

17. ბალახი არ ამოვა.“

§18

18. მეორე ფირფიტა: როდესაც ჯარი დასაფიცებლად (=ფიცის დასადებად)

19. მიდიან.

პირველი სამხედრო ფიცის ფრაგმენტი

ფრაგმენტი I. D= KBo 21.10

ფრაგმენტი II. C= KUB 40.13

§1

x+1. [...] [...]

§2

2'. [...] როდესაც მინდორში [...] ცხვარი

3'. შორს წავა და ის [...]

4'. [...] საქონელიც შორს წავა

5'. [...] ნახირს ათრევს. ვინც [...]

6'. ვინც ამ ფიცს დაარღვევს

7'. [...] ეს ქალაქები [...]

8'. [...] შვილიშვილი და შვილთაშვილი, ადამიანები, ხარები, ცხვრები,

9'. [...] ვენახები და ბაღები [...]

10'. [...] მომავალში [...]

11'. [...] ჯარიც კი [...]!“

§3

12'. [...] საქონლის ტყავს თელავენ და ისინი [...] ჯარიც [...]

- 13'. [...] ასე ეუბნება [...]
 14'. ვინც ამ ფიცს დაარღვევს [...]
 15'. [...] მის შვილებთან (და მის) გვართან ერთად
 16'. [...] ხათის ქვეყანა [...]
 17'. [...].
§4
 18'. [...] ისინი კი ასე ამბობენ: „დაე, ასე იყოს!“
 19'. [...]
 20'. [...] ამ ღვთაებრივ ფიცს დაარღვევს [...]
 21'. [...] შვილიშვილი და შვილთაშვილი, [...]
 22'. [...]
 23'. ჭრიან [...].

ფრაგმენტი III

E= Bo 6881

წინ.მხ. I

§1

- x+1. [...] x [...]
 2'. [...] არა [...]
 3'. [...] და მის შიგნით [...]
 4'. [...].

§2

- 5'. [...] და ვინც [...]
 6'. [...] ღვთაებათა ფიცს დაარღვევს, ეს ქალაქი ამგვარად
 7'. [...] დაილუპოს [...]!“

§3

- 8'. [...] ასხამენ [...]
 9'. [...] თიხას ურევს [...]
 10'. [...] შერეულია [...]
 11'. [...].

§4

- 12'. და ვინც ამ ღვთაებათა ფიცს დაარღვევს და ის მეფეს, დედოფალს
 13'. [...] ეს ფიცი
 14'. [...] დაიჭიროს! და მის ცოლთან ერთად,
 15'. [...]!“

CTH 493

ფიცის დადების რიტუალი

A: KUB 43.38 (VAT 7424)

წინ.მხ.

§1

1. [...] მათ უნდა [...]!

2. [...] მათ უნდა [...!]

3. [...].

§2

4. „თუკი მათ (= სიტყვებს) დაიცავთ!],

5. [(მაშინ) ეს იქნება] თქვენი [გადარჩენისთვის“]

6. [...] ამბობს:

§3

7. [...] ჩირალდნები უჭირავს.

8. [...]

9. „ეს ჩირალდნები [...]

10. და თუ ამ [სიტყვას ...]

11. [(მაშინ) თქვენ] უმფამ²⁹ და შარუმამ³⁰ [გაგანადგუროთ!“]

§4

12. „და როგორც [...] ჩირალდნები [...] იწვის,

13. [...] შემდეგ [...],

14. და ვინც ამ სიტყვას [...]

15. [...] მთლიანად ბნელი [მიწიდან ...!]

16. შემდეგ [...] ბნელ მიწაზე [...]“.

§5

17. ხოლო [თუ თქვენ მათ (=სიტყვებს)] დაიცავთ,

18. [(ეს) თქვენდა საკეთილდღეოდ იქნება!“]

§6

19. [შემდეგ ჩირალდნებს] აქრობენ,

20. [...] ჩი]რალდნები კი [...]

21. და მას არავინ [...]

22. [მას] არავინ [...].

§7

23. [ჩირალდნები] თქვენ ჩააქრეთ,

24. [...]

25. და ვინც ამ სიტყვას [დაარღვევს],

26. [მასთან ერთად], მისი [შთამომავლობა], მისი სახლი, მისი ცოლი, [..., ამგვარად ჩ]აქრე[ს!³¹]

§ 8

27. [...]

28. და თქვენ [...]

(ფირფიტის დასასრული)

უკ.მხ.

§9

²⁹ D *Umpa*

³⁰ D *Šarruma*

³¹ = გაქრეს, განადგურდეს

29. [...] ამსხვრევენ.³²

30. [...]

31. [...] კი ასე ამბობს:

32. [...] თქვენი თავის ქალები

33. [...] თქვენ [არ] დაიცავთ,

34. დაე, ღვთაებებმა ამგვარად თქვენი [...] დაამსხვრიონ!

35. თქვენ ამგვარად [...]!³³

§10

36. [...] მაგრამ თუ მათ] დაიცავთ,

37. დაე, [თქვენ ღვთაებებმა ...] ამგვ[არ]ად დაამსხვრიონ!

§11

38. შემდეგ კი წყალს ასხამენ.

39. [...] ამბობს:

40. „როგორც ეს წყალი მიწამ [ჩაყლაპა],

41. და შემდეგ მისი კვალი არ ჩანს,³⁴

42. მიწამ (თქვენც) ქვემოთ ამგვარად ჩაყლაპოს!

43. და თქვენი [კვალი] წყლის მსგავსად შემდეგ აღარ გამოჩნდება“.

§12

44. შემდეგ კი ღვინოს ასხამს.

45. და ამასთან [ასე ამბობს:]

46. „ეს არ არის ღვინო, (ეს) თქვენი სისხლია.

47. და [როგორც] ეს მიწამ ქვემოთ ჩაყლაპა,

48. დაე, თქვენი [სისხლი და ...] მიწამ ქვემოთ ამგვარად ჩაყლაპოს!“

§13

49. შემდეგ კი ღვინოში წყალს პირდაპირ ასხამს

50. და [...] ასე ამბობს:

51. „როგორც ეს წყალი და ღვინო [აირია],

52. [...] ეს ფიცი და სნეულება [თქვენ] სხეულში ამგვარად უნდა აირიოს!“

§14

53. [...] თქვენ თავზე მთვარის ღვთაება დაგატყდეს!³⁵

54. [...] (და) სხეულის შიგნიდან გაიაროს.

55. თქვენს შიგანში [...] მთვარის ღმერთმა *urtus*³⁶-ი გააკეთოს!

³² სავარაუდოდ რაღაც ჭურჭელს ამტვრევენ

³³ ამ მონაკვეთის დაზიანებული ადგილები თარგმანში აღდგენილია შემდეგნაირად: Rs. (1-6) [Dann gibt er ihnen Töpfe in die Hände, und] diese zerschlagen sie, [undert sie, d]azu aber [spricht er] folgendermaßen: [„Dies sind keine Töpfe], (es sind) eure Schädel, und [wenn ihr die Worte [nicht] einhaltet, dann sollen euch die Götter eb[enso eure Schädel [ze]rschlagen und sollen euch eb[enso ... x ... en!]. (Oettinger, 1976:19)

³⁴ = უკვალოდ გაქრა

³⁵ თარგმანის სხვა ვერსიები ასეთია: „[Mit diesem, wa]s auf dem Kopf (ist), soll euch der Mondgott behämmern.“ (Oettinger, 1976:21). „(Concerning) t[his wh]ich is from the head, may the Moon God continually strike you.“ (Collins, 1997:167)

³⁶ ცუდი მდგომარეობა, ერთგვარი დაავადება

56. თქვენ ახლა [...]
57. [...] ქვეყნებში სანახავად [...] მოვა.³⁷
- §15
58. [შემდეგ] კი ხელით ქვემოთ ქვას იღებენ³⁸
59. [...] ასე ამბობენ:
60. „ეს ქვა როგორი მძემე(ცაა),
61. [მოგვიანებით] ღვთაებრივი ფიცი და სნეულება [...- ში ამგვარად დამძიმდე]ს!“
- §16
62. [მაგრამ] თუ ამ ფიცს დაიცავთ,
63. და [...] მარადიულია,
64. დაე, თქვენც ამგვარად მარადიულ[ნი იყავით!“]
- §17
65. [...] თუ განმწმენდი ქურუმი(ა),
66. ის [...].
67. [...] კალოს კარიბჭის წინ [...]
68. [...].
- (დაზიანებულია)

ბიბლიოგრაფია/ REFERENCES

- Beal, R.H., (1992). The Organisation of the Hittite Military. Carl Winter Universitätsverlag, Heidelberg, Germany.
- Beckman, G., (1995). Royal Ideology and State Administration in Hittite Anatolia. J. Sasson, (ed.), Civilizations of the Ancient Near East, Vol. I, New York: 529-543
- Christiansen, B., (2012). Schicksalsbestimmende Kommunikation. Sprachliche, gesellschaftliche und religiöse Aspekte hethitischer Fluch-, Segens- und Eidesformeln. StBoT 53: 407-413.
- Collins, B. J., (2003). The First Soldiers Oath (1.66), COS 1, 65-167.
- Collins, B.J., (2007). The Hittites and their World. Society of Biblical Literature, Atlanta.
- García Trabazo, J.V., (2002). Textos religiosos hititas. Mitos, plegarias y rituales. Biblioteca de Ciencias Bíblicas y Orientales - BCBO 6, 520-541
- Gentili Pieri, F. (1981). Studi e ricerche 1, 41-43;
- Genz, H., Mielke, D.P., (Hg.), (2011). Hittite Military and Warfare, in Insights to Hittite History and Archaeology, Colloquia Antiqua 2. 125–151.
- Groddek, S. D., (2008). Dresdner Beiträge zur Hethitologie - DBH 24, 120f.
- Hawley, A.N., (2012). The Economic Impact of a Militaristic Society: A Study on the Hittites.
- Miller, J.L., (2006). Zeitschrift für Assyriologie und verwandte Gebiete - Vorder- asiatische Archäologie. Leipzig/Berlin - ZA 96, 286f. (Nr. 5);

³⁷ ოტინგერი ასე აღადგენს: „und er soll sich euch ..[. und er] soll e[uch nicht] in die Länder kommen, um sich sehen zu lassen!“ (Oettinger, 1976:21)

³⁸ „[Afterwards] they hold a rock with their hands underneath (it),“ (Collins, 1997:168)

- Miller, J.L., (2013). Royal Hittite Instructions and Related Administrative Texts. WAW 31; Atlanta: Society of Biblical Literature.
- Oettinger, N., (1976). Die Militarischen Eide der Hethiter. Studien zu den Bogazkoy-Texten. Heft 22. Wiesbaden.
- Otten, H., (1971). StBoT 15, p. 30.
- Pries, E., (2012/2013). A Soldier's Right Not To Fight: Breaching the Insuperability of Military Oaths. Vol. 44/45, No. 2/1 pp. 31-87. Canadian Mennonite University.
- Tischler, S.J., (2016). Dresdner Beiträge zur Hethitologie - DBH 49, 267f. Dresden, Wiesbaden
https://www.hethport.uni-wuerzburg.de/TLHdig/tlh_xtx.php?d=KBo%206.34
https://www.hethport.uni-wuerzburg.de/txhet_besrit/intro.php?xst=CTH%20493&prgr=&lg=DE&ed=S.%20G%C3%B6rke